

ალექსანდრე კობახიძე

ზოგი ტერმინის დეფინიციისათვის განმარტებით ლექსიკონში*

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის გამოცემიდან რამდენიმე ათეულმა წელმა განვლო. ამ ხნის მანძილზე ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში რა ცვლილებებიც მოხდა, საყოველთაოდ ცნობილია, ხოლო ამ ცვლილებებმა რომ ენაში პოვა ასახვა, ესეც ცნობილია. ჩვენ თვალწინ ჩნდება ქართულ ენაში ლექსიკონის ფენა, რომელიც რეგისტრაციას ელოდება განმარტებით ლექსიკონში. არ შეიძლება ენის ლექსიკონი დიდად ჩამორჩეს თანამედროვეობას. ასე რომ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ახალი გამოცემა არათუ დროულია, დაგვიანებულიც კია. განმარტებითი ლექსიკონის ახალი გამოცემა არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის პრესტიჟის საქმეა. სასურველია და აუცილებელიც, რომ მის გამოსაცემად მოსამზადებელ სამუშაოებში ინსტიტუტის მთელი კოლექტივი მონაწილეობდეს. ყველამ უნდა გაითავისოს ეს დიდი ეროვნული და უადრესად საპასუხისმგებლო საქმე. ამ წერილის მიზანია ერთგვარი დახმარება გაუწიოს სარედაქციო ჯგუფს განმარტებითი ლექსიკონის დახვეწაში, კერძოდ, ზოგი ტერმინის დეფინიციის დაზუსტებაში.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიური ლექსიკა საკმაო სისრულითაა წარმოდგენილი. ჩვენი კვლევის საგანი შედარებით ვიწროა — ბიოლოგიური ტერმინების, სახელდობრ, ცხოველთა, ფრინველთა და მცენარეთა სახელების დეფინიციის საკითხები. აღნიშნული ტერმინების

* წაკითხულია მოხსენებად არნოდ ჩიქობავას საკითხავებში (XIII) 2002 წლის 26 აპრილს. თეზისები დაბეჭდილია. აქ იბეჭდება უმნიშვნელო დამატებით.

დეფინიცია განმარტებით ლექსიკონში სხვადასხვაგვარია: ზოგი ვრცელია, ზოგი — მეტისმეტად მოკლე; ზოგი დეფინიციის ენა მეცნიერულია, ზოგის კიდევ — სასაუბრო. რომ სათანადოდ შევაფასოთ ამა თუ იმ ტერმინის (ჩვენს შემთხვევაში ბიოლოგიური ტერმინების) დეფინიცია, საჭიროა გავითვალისწინოთ ის მოთხოვნები, რაც ასეთი ტერმინის დეფინიციას წაეყენება, კერძოდ, განმარტებით ლექსიკონში.

რამდენადაც ტერმინი არის სიტყვა (ან შესიტყვება), რომელიც წარმოადგენს მეცნიერების ამა თუ იმ სპეციალური დარგის ცნების სახელწოდებას, ბუნებრივია, მისი დეფინიცია უნდა ემყარებოდეს მეცნიერულ საფუძვლებს. ეს კი ნიშნავს (რამდენადაც ჩვენ ბიოლოგიურ ტერმინებთან გვაქვს საქმე), თითოეული ცხოველის (ფრინველის, მცენარის) სახელწოდება უნდა განიხილებოდეს ურთიერთდაქვემდებარებული რანგების, ე. წ. ტაქსონების რიგში. ყოველი ცხოველი, ფრინველი თუ მცენარე განეკუთვნება გარკვეულ სახეობას (როგორც ყველაზე მცირე ტექსონომიურ ერთეულს), გვარს (როგორც ძირითად ტაქსონომიურ კატეგორიას), ოჯახს, რიგს, კლასს, ტიპს (განყოფილებას), ანუ თითოეულ მათგანს უნდა მიეჩინოს თავისი ადგილი საერთაშორისო სამეცნიერო კლასიფიკაციაში (სისტემატიკაში).

როგორი უნდა იყოს ტერმინის დეფინიციის შინაარსი? ტერმინის დეფინიცია უნდა იყოს მეცნიერულად გამართული, კერძოდ, იგი უნდა უჩვენებდეს საგნის უახლოეს (ზემდგომი რანგის) ჯგუფს ე. ი. საგნების იმ ჯგუფს, რომელთაც ეკუთვნის განსამარტავი სახელი და იმ ძირითად ნიშნებს, რითაც განსხვავდება ეს სახელი ამავე ჯგუფში შემავალი სხვა სახელებისაგან. გარდა ამისა, დეფინიცია უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: იგი არ უნდა იყოს არც მეტისმეტად ვიწრო და არც მეტისმეტად ფართო, ე. ი. იგი უნდა მოთავსდეს აუცილებლობისა და საკმარისობის ჩარჩოში; არ უნდა ჰქმნიდეს არც ამჟღავნება, არც მალულ წრეს; დაუშვებელია უცნობის განმარტება სხვა უცნობით, დეფინიცია ენობრივად დახვეწილი, ნათელი, გასაგები და ლაკონიური უნდა იყოს. და კიდევ ერთი: კარლ ლინეიდან მოყოლებული ბიოლოგიური ტერმინების აღსანიშნავად **სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში** (მაგ., ენციკლოპედიებსა და ტერმინოლოგიებში) ბინარული ნომენკლატურაა მიღებული ლათინურ

ენაზე (გერ გვარისა და შემდეგ ოჯახის აღნიშვნით). რაც შეეხება განმარტებით ლექსიკონებს, მათში ტერმინების ბინარული ნომენკლატურით მოყვანა, როგორც თანამედროვე ლექსიკოგრაფიული პრაქტიკა ვვიჩვენებს, აუცილებელი არაა, იგი უფრო ფაკულტატიური ჩანს.¹ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (როგორც რვატომეულში, ისე ერთტომეულში) ბინარული ნომენკლატურაა მიღებული საერთაშორისო კლასიფიკაციის მიხედვით. როგორაა რეალიზებული ტერმინის დეფინიციის ზემოაღნიშნული მოთხოვნები ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში? პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინის დეფინიციის ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნების დამოუკიდებლად და სრულყოფილად შესრულება ენათმეცნიერ-ლექსიკოგრაფს პრაქტიკულად არ შეუძლია. სპეციალური ტერმინის დეფინიციას მეცნიერულ დონეზე ლექსიკოგრაფი ვერ შექმნის; ეს მას არც მოეთხოვება, არც შეუძლია და არც უნდა იკისროს. ტერმინის სრულყოფილი დეფინიცია მხოლოდ სათანადო დარგის სპეციალისტის საქმეა. ლექსიკოგრაფის ამოცანა ამ შემთხვევაში უნდა შემოიფარგლოს იმის გარკვევით, თუ სპეციალისტის მიერ წარმოდგენილი დეფინიცია რამდენად გამართულია ენობრივი თვალსაზრისით (კერძოდ, ხომ არაა ნაბმარი დეფინიციაში ვიწრო სპეციალური, არასპეციალისტი მკითხველისათვის გაუგებარი სიტყვები). ასე რომ ლექსიკოგრაფის ჩარევა ტერმინის დეფინიციაში, ჩვენი აზრით, მხოლოდ და მხოლოდ ენობრივი გამართულობის ხაზით შეიძლება გამართლებული იყოს. რაიმე ცვლილების შეტანა დეფინიციის შინაარსში სპეციალისტის გარეშე ლექსიკოგრაფმა არც უნდა იკისროს.

¹ თანამედროვე რუსულ განმარტებით ლექსიკონებში დ. უშაკოვის ლექსიკონიდან მოყოლებული (ს. ოფეგოვის რუსული ენის ლექსიკონი, ს. ვეგენიევის რედაქციით გამოსული რუსული ენის ლექსიკონი — ოთხტომეული, თანამედროვე რუსული სალიტერატურო ენის ლექსიკონი 17 და 20 ტომად) ბიოლოგიური ტერმინების ბინარული აღნიშვნა ლათინურ ენაზე აღარ გვხვდება.

თანამედროვე ფრანგული ენის განმარტებით ლექსიკონებში (ლარუსი, რობერი) ტერმინების დეფინიცია თავისებურია: ნაჩვენებია ტერმინის ფრანგულ ენაში დამკვიდრების თარიღი (წელი ან საუკუნე), ვინ და სად იხმარა პირველად. მერე აღნიშნულია ამ ტერმინის სახელწოდება ლათინურად ან ბერძნულად (ზოგჯერ არაბულად, ესპანურად და სხვ.), შემდეგ მოსდევს ტერმინის მნიშვნელობის აღნიშვნა. ასე, რომ მტკიცე მოთხოვნა საერთაშორისო ბინარული ნომენკლატურისა არა ჩანს.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში შესული ბიოლოგიური ტერმინების დეფინიციათა გარკვეული ნაწილი აკმაყოფილებს ტერმინის დეფინიციისადმი წაყენებულ მოთხოვნებს (განსაკუთრებით ეს ითქმის ბოტანიკური ტერმინების დეფინიციებზე). მაგრამ, სამწუხაროდ, გვხვდება სხვადასხვა სახის დარღვევებიც.

1. რაკი გადაწყდა ბიოლოგიური ტერმინების საერთაშორისო სამეცნიერო კლასიფიკაციის (სისტემატიკის) მოთხოვნათა მიხედვით აღნიშვნა, იგი ყველგან უნდა იყოს გატარებული. სინამდვილეში ასე არაა. არის არაერთი შემთხვევა, როცა ტერმინს ლათინური სახელწოდება არ ახლავს. შეიძლება ითქვას, რომ ბევრი მკითხველისათვის ამას არსებითი მნიშვნელობა არცა აქვს და მკითხველთა გარკვეული ნაწილი ალბათ არც აქცევს ყურადღებას ამა თუ იმ სახელის ლათინურ სახელწოდებას, მაგრამ მისი შეუტანლობით აღებული პრინციპია დარღვეული. ასეთი სახელებია რვატომულში: დედოფალა, დომბა, ღურაჯი, ვეფხვი, მგელი, მელა და სხვ. რაც შეეხება ერთტომულს, მის წინასიტყვაობაში ნათქვამია, რომ „მცენარეთა სახელებს (ყველას) და ცხოველთა სახელებს (შერჩევით) მიწერილი აქვს ლათინური სახელწოდებაო“. ეს „შერჩევა“ ნიშნავს დეფინიციის მიხედვით ჩარევას და სრულებით გაუგებარია, რა კრიტერიუმით სარგებლობდნენ ამ „შერჩევისას“. თუ საჭიროდ იქნა მიჩნეული მიწერილი შქონოდა ლათინური სახელწოდება არჩეს, კვერნას, ჭიქს, მაჩვს, ტურას, არწივს, კაკაბს, შაშვს, ჩხიკვს, ბატს, ყვავს, ქორს, მწყერს, ორბს და მისთ., უცნაურია, რა მიზეზით არა აქვს იგი, მაგ., ირემს, ვეფხვს, ლომს, დათვს, კურდღელს, ზღარბს, მერცხალს, ბუღბუღს, იხვს, მტრედს, ნარჩიტას და მისთ.

2. ბიოლოგიური ტერმინის დეფინიციის მიხედვით ოჯახის ჩვენება ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნაა, ამდენად სრულიად გაუმართლებელია, როცა ეს მოთხოვნა უგულვებელყოფილია. რვატომულში 90-ზე მეტ შემთხვევაში არა აქვს ნაჩვენები ოჯახი როგორც ზოოლოგიურ, ისე ბოტანიკურ ტერმინებს (იხ. არწივი, აფთარი, ბოლობეჭედა, ბუღბუღი, ირემი, უფეხურა, ჩიტბატონა, ძერაბოტი, წაულა, წიფწივა, წიფელი, ჭადარი, ჭაღაფშატი, ჭანჭყატი და სხვ.). განსაკუთრებით ბევრია ასეთი შემთხვევები ერთტომულში (200-ზე მეტი შემთხვევა), რაც ტერმინის დეფინიციის მოთხოვნათა უგულვებელყოფას უდრის.

3. ტერმინის დეფინიციაში მოხსენიებული ოჯახის (ზემდგომი რანგის) სახელწოდება თავის ადგილზე ლექსიკონის სიტყვანში უნდა იყოს შეტანილი და განმარტებული — რა დამახასიათებელი ნიშნები აქვს ამ ოჯახს და სასურველია ნაჩვენები იყოს რამდენიმე ნიმუში მასში შემავალი სახეობებისა. სანიმუშოდ შეიძლება გამოდგეს პიტნისა და მისი ოჯახის (ტუჩოსნების) დეფინიცია. თუმცა გამონაკლისიც ცოტა როდია (როცა ოჯახის სახელწოდება ცალკე არაა განმარტებული). ასეთებია, მაგ.: აბანოზისებრნი, გოქმოსებრნი, ზამბახისებრნი, კანაფისებრნი, კელაბტარასებრნი, ლაშქარასებრნი, მირტისებრნი, ფშატისებრნი, წიფლისებრნი, ჭილისებრნი, ჭინჭრისებრნი, ხეჭრელისებრნი, ხვართქლისებრნი, ჯადვარისებრნი.

სამწუხაროდ, ამასვე ვერ ვიტყვით ზოოლოგიური ტერმინების დეფინიციაში აღნიშნული ოჯახების შესახებ. ზოოლოგიური ოჯახის სახელწოდებანი (როგორც ცხოველების, ისე ფრინველების), ბოტანიკურისაგან განსხვავებით, რატომღაც საერთოდ არაა შეტანილი ლექსიკონში (გამონაკლისია მღრღნელებისა და ჩანთოსნების მარტივი ხსენება, ისიც მღრღნელისა და ჩანთოსნის სიტყვა-სტატიაში). ჩვენი აზრით, სულაც არ იყო ზედმეტი ზოოლოგიური ოჯახების შეტანა ლექსიკონში. მაგ., რამდენიმე ფრინველის დეფინიციაში გვხვდება გამოთქმა „ბელურების ოჯახი“ (იხ. ტოროლა, გრატა, ვულწითელა...), მაგრამ რას წარმოადგენს ბელურების ოჯახი, არსად ჩანს. კიდევ უფრო რთული მდგომარეობაა იმ შემთხვევაში, როცა დეფინიციაში „ბელურასნაირთა რიგია“ მოხსენიებული. ყორნის, ჩხიკვის, შაშვის ჭვინტას, ჭვინტაკას, მერცხლის დეფინიციაში წერია „ბელურასნაირთა რიგისა“ (მერცხლის დეფინიციაში — „ბელურასებრთა რიგისა“), მაგრამ არასპეციალისტისათვის გაუგებარი რჩება, რას წარმოადგენს ეს ბელურასნაირთა (ბელურისებრთა) რიგი. ჯობდა კი რომ ყოფილიყო იმის განმარტება, თუ რა ნიშანი (ან ნიშნები) აერთიანებს ჩვეულებრივი მკითხველისათვის სულ სხვადასხვა ფრინველს (სად ყორანი და სად მერცხალი!) და, რაც მთავარია, რა კავშირი აქვთ მათ ბელურასთან. ასევე განუმარტავია დეფინიციაში მოხსენიებული „ნიჩაბფეხიანნი“ (იხ. ყარაბათლახი), „ტრაგანების“ ოჯახი (იხ. კვეზალი), „ღრურქიანნი“ (იხ. თხა) და მისთ. რაც შეეხება ერთტომეულს, მასში არათუ ზოოლოგიურ ტერმინთა

დეფინიციებში მოხსენიებული ოჯახების სახელწოდებანი არაა ცალკე განმარტებული, არამედ ბოტანიკურ სახელწოდებათაგანაც განმარტებულია მხოლოდ ოთხი: ვარდისებრნი, ჯვაროსანნი, პარკოსანნი და მარცვლოვანნი.

4. ლექსიკონში ისეთი ტერმინებიც გვხვდება, რომელთა დეფინიციებში არც ლათინური სახელწოდებაა და არც სათანადო ოჯახზე მითითება (იხ.: გველნიორა, გვიმრა, ვარხვი, კულდვარდა, ლამიტობია, ლამიყლაპია, მესკია, მოლალური, ნამგალა, ნარჩიტა, ნიბლია, წიფლისჩიტა და სხვ.).

5. ტერმინის არასრულყოფილი დეფინიციის შედეგია ის, რომ არცთუ იშვიათად ერთი და იგივე განმარტება ახლავს რამდენიმე სახეობის სახელს. მაგ., რვატომეულში ბატკნიჭამიას, ბოლობეჭედას, კაპოეტსა და ძერძერუკს აქვთ ზუსტად ერთნაირი დეფინიცია: „ერთგვარი მტაცებელი ფრინველი“. ასევე ერთნაირი განმარტება აქვს (ერთტომეულში) ბაიყუშსა და ზარნაშოს — „დიდი ბუ“; მესკიასა და წუას — „პატარა ჩიტი ერთგვარი“; ჭოვილოსა და ჭყიმპოს — „ჭაობის გრძელნისკარტა ფრინველი ერთგვარი“; ბოლობეჭედას გავაზს, კაპოეტსა და ძერძერუკს — „ერთგვარი მტაცებელი ფრინველი“. მაგრამ რაკი ტერმინებს სხვადასხვა სახელწოდება აქვს, ისინი, ცხადია, რაიმე ნიშნით უნდა განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან (მხედველობაშია არა სინონიმური სახელები ნიბლია — სკვინჩას ტიპისა). ამასთანავე ლექსიკოგრაფს არ მოეთხოვება ამა თუ იმ ცხოველის თუ ფრინველის ვიწრო განმასხვავებელი ნიშნების ცოდნა (მაგ., რით განსხვავდება გავაზი ძერძერუკისაგან), არადა მათი აღნიშვნა დეფინიციებში საჭიროა. გამოსავალი ერთია, ესაა ლექსიკოგრაფისა და სათანადო დარგის სპეციალისტის შეთანხმებული მუშაობა ტერმინის დეფინიციებზე.

6. ტერმინის დეფინიციის მოთხოვნათა ყველაზე დიდ დარღვევად უნდა ჩაითვალოს არასრული, მეტისმეტად ვიწრო განმარტება, როგორც, მაგ. (რვატომეულიდან):

ფირფატი (ფირფატისა) ფრინველია ერთნაირი.

წეროტურფა (წერიტურფასი) [Anthropoides virgo] წეროა ერთგვარი.

ბილილა (ბილილისა) კუთხ. (კახ.) ყვავილი (მინდვრისა).

ასეთი განმარტებები მრავალია რვატომეულში და კიდევ

უფრო მეტი ერთტომეულში, თანაც (ორივეში) როგორც ბიოლოგიურ, ისე სხვა მრავალი დარგის ტერმინებშიც.¹ ასეთი დეფინიციები ინფორმაციულობის თვალსაზრისით პრაქტიკულად არაფრით განსხვავდებიან საბას ლექსიკონში ზოგი სახელის სიმბოლოებით აღნიშვნისაგან, სადაც ბალახთა, თევზთა, ფრინველთა, მწერთა და სხვათა აღსანიშნავად გარკვეული ფორმის სიმბოლოებია მიღებული (წინასიტყვაობაში კი მითითებულია: სადა ესე ჯდეს (V) ფრინველია, სადა ესე ჯდეს (ჟ) თევზია და ა. შ.). აქვე შევნიშნავთ, რომ ათიოდე შემთხვევაში საბას ლექსიკონის აღნიშნული სიმბოლოები განმარტებით ლექსიკონში გაშიფრულია და ორი სიტყვითაა განმარტებული. მაგ., **ბერიო** — ერთგვარი ბალახი (საბა); **კოფა** — ბალახი ერთგვარი (საბა); **კიკვილა** — ერთგვარი ფრინველი (საბა); **კინქვა** — ბალახი (ერთგვარი) (საბა). ძნელი სათქმელია, რამდენად საჭირო იყო საბას ლექსიკონიდან სიმბოლოების გაშიფრა, თუ მათ რაიმე დამატებით ინფორმაციას ვერ ვაძლევდით.

7. დეფინიციის ენა დახვეწილი უნდა იყოს. ერთისა და იმავე ცნების აღსანიშნავად სხვადასხვა ტერმინის გამოყენება, ჩვენი აზრით, გაუმართლებელია. ჩლიქოსანი ცხოველების დეფინიციებში გვხვდება ტერმინების ასეთი სიჭრელე: ჩლიქაუყოფელი (იხ. ცხენი), ჩლიქაყოფელი (იხ. შველი, ქურციკი), კენტჩლიქოსანი (იხ. ზებრა, ონაგრი), წყვილჩლიქოსანი (იხ. ჟირაფი, ღორი), ჩლიქოსანი (იხ. დომბა, ლოსი). ამათგან სწორი ფორმებია კენტჩლიქოსანი, წყვილჩლიქოსანი და მათი ზოგადი ფორმა ჩლიქოსანი (რაც უპირისპიდება არაჩლიქოსან ცხოველებს).

8. ტერმინის დეფინიცია, როგორც ითქვა, უცნობ, გაუგებარ სიტყვას არ უნდა შეიცავდეს, სამწუხაროდ ასეთი შემთხვევები გვაქვს. ქერისა და ქუჩის (მცენარის მნიშვნელობით) დეფინიციებში გვხვდება სიტყვა „თავთუნები“ (ფხიანი თავთუნები), რომლის მნიშვნელობა, ბოტანიკოსის გარდა, ალბათ არავინ იცის. ანალოგიური შემთხვევები რომ არ განმეორდეს, ლექსიკოგრაფი ვალდებულია სპეციალისტების მიერ მოწოდებული ტექსტი

¹ მაგ.: **კარბა** — პატარა გემი ერთგვარი; **კობანო** — ნავი ერთგვარი; **ყანთაზი** — სასწორი ერთგვარი; **ტარანტასი** — ეტლი ერთგვარი; **წითლით** — სოკო ერთგვარი; **ფინჩა** — სოკო ერთგვარი; **შაშში** — ნარკოტიკი ერთგვარი და სხვ.

კრიტიკული თვალთ შეამოწმოს — ხომ არ არის მასში არასტე-
ციალისტიისათვის გაუგებარი სიტყვები. აქვე აღვნიშნავთ კიდევ
ერთ უზუსტობას. ქოვილოს დეფინიციაში მოხსენიებულია მეჭვავ-
ვიასებრთა ოჯახი. ზოოლოგიური ოჯახები რომ არაა ცალკე შე-
ტანილი ლექსიკონში, ამაზე ზემოთაც იყო ნათქვამი, და მეჭვავი-
ასებრნი მართლაც არაა შეტანილი, მაგრამ აქ უფრო სავალა-
ლოა ის, რომ არც მეჭვავია არის შეტანილი, რაც ყოველად გაუ-
მართლებელია.

9. დეფინიციის ენა სტილის თვალსაზრისით ქრელ სურათს
ქმნის. ტერმინის დეფინიცია, რამდენადაც იგი მეცნიერულ ცნე-
ბას განმარტავს, ბუნებრივია, სათანადო სტილის (მეცნიერული)
უნდა იყოს. განმარტებით ლექსიკონში დეფინიციათა დიდი უმ-
რავლესობა სწორედ ასეთი სტილითაა წარმოდგენილი. მაგრამ
გვხვდება ისეთი დეფინიციებიც (და არცთუ ცოტა), რომლებშიც
ეს მოთხოვნა არაა დაცული და გამოყენებულია ჩვეულებრივი
სასაუბრო, არამეცნიერული სტილი. ნაცვლად იმისა, რომ რომე-
ლიმე ბიოლოგიური სახელი მივაკუთვნოთ სათანადო გვარს,
ოჯახს, როგორც ამას მოითხოვს ტერმინის დეფინიცია, გვხვდებით
ასეთ გამოთქმებს: ჰგავს, მსგავსია, მონათესავეა, ჯიშისაა და
მისთ. მაგ., **ალალი** — მტაცებელი ფრინველი ქორსა ჰგავს,
ოღონდ მომცროს; **ბორა** — მოზრდილი მტაცებელი ფრინველი,
ძერის მსგავსი; **ჭილყვაგი** — ყვავის მსგავსი მომცრო შავი ფრინ-
ველი; **ჭოტი** — ბუის მსგავსი მომცრო ღამის ფრინველი; **ჩიბუხა** —
ღალღის ჯიშის მოზრდილი სანადირო ფრინველი; **ღობემძვრალა** —
რუხი ფერის ბატარა ჩიტი; ბელურას ბგავს, — **ჭინჭრაქა**; **მგელი** —
რუხი ფერის მტაცებელი ცხოველი, ძაღლის მონათესავე (ერთტ.,
რვატომეულში სწორი განმარტებაა: მტაცებელი ცხოველი ძაღ-
ლისებრთა ოჯახისა).

რა შეიძლება ითქვას ასეთ განმარტებებზე? ნაკლებმო-
თხოვნი მკითხველისათვის ისინი შეიძლება უფრო მისაღები იყოს
კიდევ როგორც უფრო მარტივი და ადვილად გასაგები, მაგრამ
იქ, სადაც სიზუსტეა საჭირო, სასაუბრო მეტყველების დეფინიცია
წაგებიანია. განმარტებითმა ლექსიკონმა რაკი გეზი საერთაშორი-
სო სამეცნიერო კლასიფიკაციაზე აიღო, დეფინიციების ენის სტი-
ლიც შესაბამისი უნდა იყოს, **ალალი** კი არის მტაცებელი ფრინ-
ველი და ქორსაც ჰგავს, მაგრამ ბევრი მტაცებელი ფრინველი

ჰგავს ქორს: გავაზი, კაპოეტი, სონლული, კირკიტა, მარჯანი, კაკაჩა და სხვ. ან ავიღოთ **ღობემძვრალა** (სამეცნიერო ლიტერატურაში უფრო ჭინჭრაქის სახელით რომაა ცნობილი) ბელურას ჰგავსო. მსგავსება პირველ რიგში გარეგნულ მსგავსებას გულისხმობს. ჭინჭრაქა კი გარეგნულად ძნელია ბელურას მიამსგავსო. იგი უფრო პატარაცაა და ფერად უფრო მუქიც, რაც მთავარია, ბელურაზე პატარა მომრგვალო ფრთები და მუდამ ვერტიკალურად აპრეხილი პატარა ბოლო აქვს. თანაც ჭინჭრაქა მგალობელი ფრინველია, ბელურა კი (ჩვენში გავრცელებული) არა.

რა დასკვნის გაკეთება შეიძლება?

1. როგორც აღვნიშნეთ, ბიოლოგიური ტერმინების ბინარული ნომენკლატურის ჩვენების წესები ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში მრავალ შემთხვევაში დარღვეულია (განსაკუთრებით ერთტომეულში). ამ მდგომარეობიდან ორი გამოსავალი შეიძლება იყოს: ან ახალ გამოცემაში ბოლომდე დავიცვათ ბიოლოგიურ ტერმინთა დეფინიციის საერთაშორისო მოთხოვნები (რაც, ჩვენი აზრით, უფრო მეტ სირთულეებთან არის დაკავშირებული), ანდა მივბაძოთ უცხოეთის თანამედროვე განმარტებით ლექსიკონებს, სადაც ბიოლოგიური ტერმინების ბინარული ნომენკლატურა აღარაა აღნიშნული, და ჩვენც ხელი ავიღოთ ამ ტერმინთა ბინარული ნომენკლატურის ჩვენებაზე (დეფინიციის სხვა მოთხოვნათა დატოვებით). ამით განმარტებით ლექსიკონს ბევრი არაფერი დააკლდება (საჭირო ინფორმაციას დაინტერესებული მკითხველი იპოვის ქართულ ენციკლოპედიასა და სათანადო დარგის ტერმინოლოგიებში).

2. ტერმინის დეფინიციის ენა განმარტებით ლექსიკონში რიგ შემთხვევაში დასახვეწია. გარდა ამისა, დეფინიციის ენა ზოგჯერ სასაუბროა და არა მეცნიერული, რაც, ჩვეულებრივ, საჭირო სიზუსტეს მოკლებულია. იგი მხოლოდ მეცნიერული უნდა იყოს.

3. ტერმინთა დიდი ნაწილის დეფინიცია, რომელიც სპეციალისტთა მიერ არის მოწოდებული, უპასუხებს ტერმინის დეფინიციის მოთხოვნებს (განსაკუთრებით ბოტანიკური ტერმინებისა).

4. როგორც ჩანს, ტერმინების ერთი ნაწილის დეფინიცია სხვადასხვა მიზეზების გამო შეკვეცილია (განსაკუთრებით ერთტომეულში), რითაც ტერმინის დეფინიციის მოთხოვნები დარღვეულია.

5. ტერმინების ერთი ნაწილი აშკარად ჩანს, რომ სპეციალისტების მიერ არაა მოწოდებული და სხვადასხვა გზითაა მოპოვებული (უშთავრესად ლექსიკონის ფონდიდან). მათი განმარტება, როგორც წესი, მეტისმეტად ვიწრო და ღარიბია. იქნებ დავფიქრდეთ, რამდენად მიზანშეწონილია ასეთ სოლიდურ ლექსიკონში, როგორიც ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონია, იმ ტერმინების შეტანა, რომელთაც **სათანადო განმარტებას** ვერ ვაძლევთ (იხ. მესკიის, ფირფატის, ბილილისა და მისთ. განმარტებები). მაგრამ თუ ლექსიკონის რედაქცია მაინც გადაწყვეტს ლექსიკონის ახალ გამოცემაში ასეთი ტერმინების შეტანას, ალბათ, საჭირო იქნება სათანადო დარგის სპეციალისტების კონსულტაცია. თუ ისინი დაადასტურებენ ასეთი ტერმინების ლექსიკონში შეტანის საჭიროებას, მათ სათანადო დეფინიციაც უნდა მოვთხოვოთ. ყოველ შემთხვევაში გვერდიგვერდ არსებობა ერთი მხრივ ტერმინების მეცნიერულად სრულყოფილი დეფინიციებისა და მეორე მხრივ ტერმინების ყოვლად მარტივი სასაუბრო განმარტებებისა ისეთ სოლიდურ ლექსიკონში, როგორიც ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონია, რბილად რომ ვთქვათ, არასასურველ კონტრასტს ქმნის. ასეთ შემთხვევაში ბუშკინი იტყოდა:

в одну телегу впрячь не можно коня и трепетную лань.